პოზიციის დოკუმენტი

პოზიციის დოკუმენტები

ოქტომბერი

2024 წელი

დოკუმენტის შესახებ

2023 წლის ოქტომბრიდან **გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს** (BMZ) დაფინანსებით, ასოციაცია **ნატურლანდმა** (Naturland) დაიწყო პროექტის „KVP საქართველო“ განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დანერგვას, რაც მომავალში, სოფლებში სტაბილურ დასაქმებას და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას უნდა მოემსახუროს.

პროექტის მესვეურებისა და ქართველი პარტნიორების ერთობლივი გადაწყვეტილებით, პროექტი რამდენიმე ფაზად დაიყო, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წინამდებარე სამი პოზიციის დოკუმენტი წარმოადგენს

პროექტის პირველი ფაზაში შეიქმნა საგანმანათლებლო კურსი, რომელიც შემდეგ მიმართულებებად დაიყო: ორგანული სოფლის მეურნეობა და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპები; ქართული ჩაი; ქართული ღვინო; ორგანული სოფლის მეურნეობა და მცირე საოჯახო მეურნეობები. პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობისთვის პოზიციის დოკუმენტების შექმნას, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციის ექსპერტების ჩართულობით უნდა შექმნილიყო. წარდგენის ვადად განისაზღვრა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი.

პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ

პოზიციის დოკუმენტის შექმნისთვის, კომპეტენციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეირჩა შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციები:

საერთაშორისო ალიანსი მდგრადი კავკასია (SCIA) - დაარსდა 2023 წელს და წარმოადგენს სოფლის განვითარებისა და მდგრადობის კომპეტენციის ცენტრს, რომელიც ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსების, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ფოკუსით შემდეგ სამ კომპონენტზე: 1. ორგანული სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება; 2. ენერგოეფექტური მშენებლობა, წყლის რესურსით ეფექტური სარგებლობა;3. მწვანე ეკონომიკა, ორგანიზაციული განვითარება, განათლება, საერთაშორისო ურთიერთობები, სოფლის განვითარება.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა - ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლიდან მუშაობს საქართველოში ბიო-წარმოებისა და აგრო-ეკოლოგიის განვითარების, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ენდემური და ადგილობრივი გენოფონდის დაცვის საკითხებზე. დღეისათვის ასოციაცია 458 წევრს

აერთიანებს, რომელთა შორის არიან როგორც ინდივიდუალური აგროეკოლოგიური მწარმოებლები, ასევე, იურიდიული პირები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერთა ასოციაციები, მცირე საწარმოები და სხვ. ამ გზით ასოციაცია „ელკანა“ პირდაპირ ან არაპირდაპირ 2,500-მდე მეურნეს ემსახურება საქართველოს მასშტაბით.

ფერმერ ქალთა ასოციაცია (WFA) – ორგანიზაცია 2013 წელს დაარსდა კახეთში, რომლის მთავარ მისიას წარმოადგენს გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ფერმერი ქალების ინფორმირება, ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება, მათი უფლებების დაცვა და ადვოკატირება. ასოციაციის სამიზნე ჯგუფებია: სოფლად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალები და ახალგაზრდები. ორგანიზაციის სლოგანია: *„ძლიერი ფერმერი, ძლიერი სოფელი, ჯანმრთელი მომავალი თაობა“*

ასოციაცია ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და აერთიანებს 300-ზე მეტ ფერმერ ქალს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) აერთიანებს 5000-ზე მეტ ფერმერს, ფერმერთა ჯგუფებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ასოციაციებს. ორგანიზაციის მიზანი და ხედვაა ფერმერთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობით გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა ქვეყანაში, ასოციაციის ძირითადი საქმიანობა ეფუძნება ფერმერთა ადვოკატირებას, შესაძლებლობების განვითარებას და კავშირების დამყარებას ფერმერების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სექტორების გასაძლიერებლად.

სამადლობელი

დოკუმენტის მომზადებაში ხელშეწყობისთვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, თანადგომისთვის, ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის, პარტნიორი ორგანიზაციები მადლობას ვუხდით ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ასოციაცია ნატურლანდს, რომლის მისიას წარმოადგენს მსოფლიოში ეკოლოგიური, მდგრადი და სამართლიანი სასოფლო სამეურნეო პრინციპების გავრცელებასა და დანერგვაზე ზრუნვა. ორგანიზაცის გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ბიოსერტიფიცირების ბაზარზე, დღეისთვის, მისი ნიშანდებით 62 ქვეყნის 100 000-ზე მეტი ოპერატორი სარგებლობს.

ამასთან, მადლობას ვუხდით პოზიციის დოკუმენტების მომზადებაში ჩართულ ექსპერტებს: ირინე ფხოველიშვილს, ია ებრალიძეს, ელისაბედ ხმიადაშვილს, თამარ ფხაკაძეს, თეკლა ზაკალაშვილს და კოორდინატორებს: თამაზ დუნდუას და თამარ ფხაკაძეს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამივე ჯგუფის მუშაობის ორგანიზებაში.

პოზიციის დოკუმენტი

2. მცირე/საოჯახო მეურნეობების სტატუსის განსაზღვრის შესახებ

*პოზიციის დოკუმენტი შემუშავებულია ნატურლანდის მხარდაჭერით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ: **ირინე ფხოველიშვილი** - ფერმერ ქალთა ასოციაცია, **თამარ ფხაკაძე** - ფერმერ ქალთა ასოციაცია, **ია ებრალიძე** - ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“*

წინამდებარე პოზიციის დოკუმენტი აღწერს საქართველოში მცირე/საოჯახო მეურნეობების მდგომარეობას და მათი სტატუსის განსაზღვრისთვის გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც შემუშავებულია ადგილობრივი ისტორიული კონტექსტის, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების, არსებული საჭიროებებისა და პრობლემების შეფასების საფუძველზე და ემსახურება ქართველ ფერმერთა საუკეთესო ინტერესებს.

ნაშრომის შესახებ

პოზიციის დოკუმენტის „საოჯახო მეურნეობების სტატუსის განსაზღვრის შესახებ საქართველოში“ შექმნის მიზანი არის მხარი დაუჭიროს ქვეყანაში მცირე/საოჯახო მეურნეობების ორგანიზაციული ფორმის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს: ქვეყნის ადგილობრივი სურსათით მომარაგებას და სასურსათო უსაფრთხოებას, სიღარიბის შემცირებას და სოფლის მდგრად განვითარებას, სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებას და მისი დაცლის პროცესის შეჩერებას, ორგანული წარმოების და აგროტურიზმის, როგორც დაკავშირებული საქმიანობის, სურსათის მოკლე ჯაჭვების ხელშემწყობი სფეროს და მეურნეობების დივერსიფიკაციის განვითარებას.

წინამდებარე დოკუმენტში განხილული არის საქართველოში არსებული ტრადიციული/ზეპირსიტყვიერი და საკანონმდებლო ბაზაში ასახული დოკუმენტები, რაც ეხება საოჯახო მეურნეობებს. დოკუმენტში ასევე გაანალიზებულია ევროპული გამოცდილება და საოჯახ მეურნეობების განვითარების ისტორიული ეტაპები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დინამიურობა და არასწორხაზოვნება საზოგადოების კეთილდღეობის ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და მარეგულირებელი მექანიზმების მხარდაჭერას მოითხოვს. უპირატესი ხდება ეკონომიკური სისტემების შექმნა, რომელიც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ეკონომიკური აქტივობების წახალისებასა და ცალკეული სექტორების განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამავდროულად, ეკონომიკური სისტემის შექმნით ბალანსდება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები, არსებული

პოტენციალი შეზღუდული რესურსებით გადაეცემა მომავალი თაობებს. ამ მხრივ, სწორედ საოჯახო მეურნეობას შეუძლია ხელი შეუწყოს **სასურსათო უსაფრთხოების**, **სოციალური და ეკოლოგიური** ჰარმონიულ განვითარებას.

საოჯახო მეურნეობების მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უპირველეს მიზანს **სასურსათო უსაფრთხოების** უზრუნველყოფა წარმოადგენს. მათ შეუძლიათ ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზა სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყონ[1], შეამცირონ დამოკიდებულება იმპორტზე და დააბალანსონ რეგიონებს შორის სურსათის მიმოცვლა. გარდა ამისა, საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მცირე ნაკვეთებზე ეწევიან, ძირითადად იყენებენ ტრადიციულ მეთოდებს, რაც ხელს უწყობს **ნიადაგის რესურსების სწორ მართვას**, **ბიომრავალფეროვნების** შენარჩუნებას და ეკონომიკური აქტივობებით **გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას**.

საოჯახო მეურნეობას აქვს პოტენციალი გადაჭრას მნიშვნელოვანი **სოციალური** გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია სიღარიბის შემცირებასთან და სოციალურ უთანასწორობასთან. იგი ხელს უწყობს ადგილობრივად დასაქმებას, სოფლის ეკონომიკურ განვითარებას, ამცირებს სოფლებიდან ქალაქებში მიგრაციას და აძლიერებს სათემო კავშირებს.

საოჯახო მეურნეობების აქტუალობას ხაზს უსვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ **საოჯახო მეურნეობის ათწლეულის** (2019-2028) გამოცხადება . ეს ინიციატივა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების სამი ასპექტის - ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, სოციალური საკითხები და გარემოს დაცვა - ინტეგრაციას.

მიუხედავად თავიანთი მნიშვნელობისა, საოჯახო მეურნეობები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. ეს გამოწვევები მოიცავს ფინანსური რესურსების და მთავრობების მხარდაჭერის ნაკლებობას ან არ არსებას, ბაზრებზე წვდომის სირთულეებს და დაბალ კონკურენტუნარიანობას მსხვილ აგრო ინდუსტრიულ კომპანიებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საოჯახო მეურნეობების ინსტიტუციური და სოციალური მხარდაჭერა, რაც მათი განვითარებისთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა და დინამიური რყევები, პანდემიების საშიშროება და ქვეყნების საკვები პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი, ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობის განვითარების განახლებული პარადიგმების ჩამოყალიბების აუცილებლობას, სადაც საოჯახო მეურნეობები, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ინსტიტუტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი უნდა გახდეს.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

პოზიციის დოკუმენტის ფარგლებში შევისწავლეთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება, ესენია: **სერბეთი**, **ლიეტუვა**, **ლუქსემბურგი**, **პოლონეთი**, **უნგრეთი.** ამათგან, საოჯახო მეურნეობების ფუნქციონირების შესახებ კანონები მხოლოდ ლუქსემბურგსა და უნგრეთში მოქმედებს,

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიოში მოხმარებული საკვების 60%-ზე მეტს (80% სამხრეთის ქვეყნებში) საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ. წყარო: https://www.fao.org/family-farming-decade/home/fr/

პოზიციის დოკუმენტი

დანარჩენ ქვეყნებში ამ თემას სხვადასხვა კანონი მოიცავს. მაგალითად, სერბეთში საოჯახო მეურნეობებს არეგულირებს კანონი „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ“, ლიეტუვაში - კანონი „ფერმერის მეურნეობის შესახებ“, რაც შეეხება პოლონეთს, აქ „სასოფლო-სამეურნეო სისტემების შესახებ“ კანონთან ერთად, კონსტიტუცია შემდეგ ჩანაწერს გვთავაზობს: „ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სისტემის საფუძველს საოჯახო მეურნეობა წარმოადგენს“.

ჩვენ მიერ განხილულ ქვეყნებს საოჯახო მეურნეობებს სხვადასხვა განმარტება აქვს. 2014 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ *საოჯახო მეურნეობის საერთაშორისო წლად* გამოცხადებასთან დაკავშირებით, საერთო განმარტება შეიმუშავა, რომელიც ასე ჟღერს: საოჯახო მეურნეობა „არის სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის, თევზისა და ცხოველური პროდუქტების წარმოების ორგანიზების საშუალება, რომელსაც ახორციელებს და მართავს ოჯახი. იგი ეყრდნობა უმთავრესად ოჯახის შრომას, მათ შორის როგორც ქალების, ასევე მამაკაცების. ოჯახი და მეურნეობა დაკავშირებულია ერთმანეთთან, ისინი ერთად ვითარდებიან და ითავსებენ ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, რეპროდუქციულ, სოციალურ და კულტურულ ფუნქციებს“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნგრეთში მოქმედებს კანონი საოჯახო მეურნეობების შესახებ, რომელიც 2021 წელს ამოქმედდა.

უნგრეთის კანონის ‘საოჯახო მეურნეობების შესახებ“ მიხედვით, **„საოჯახო მეურნეობა არის ფიზიკური პირის/ფერმერის ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და მუდმივად ასრულებს სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებულ დამხმარე საქმიანობებს, რომელიც ეფუძნება საკუთარი ან/და დაქირავებულ საწარმოო რესურსებს და იყენებს ოჯახის წევრთა მუშაობის და გამოცდილების უნარ-ჩვევებს.“** კანონი არეგულირებს საოჯახო მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ეკონომიკური აქტივობის პირობებს და მასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით საქმიანობას, ასევე საოჯახო მეურნეობების რეესტრში დარეგისტრირების წესებს და პირობებს, სუბიექტის მმართველის და წევრების პასუხისმგებლობებს, უფლებებს და მოვალეობებს და ადგენს ამ კანონის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოს და ზედამხედველობის წესებს.

სავალდებულოა, საოჯახო მეურნეობას დარეგისტრირებამდე მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი, რომელიც დამატებითი აქტივობის გათვალისწინებით ხდება. კანონის მიხედვით, მეურნეობის სავარაუდო სტატუსებია:

- პროდუქციის მწარმოებელი საოჯახო მეურნეობა (family farm for production);
- პროდუქციის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საოჯახო მეურნეობები (family farm for production and processing);
- პროდუქციის მწარმოებელი და მომსახურების უზრუნველყოფის საოჯახო მეურნეობები (family farm for production and services);
- პროდუქციის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საოჯახო მეურნეობები, რომელთა ეკონომიკურ აქტივობას წარმოადგენს მიწის დამუშავება, კულტურების მოყვანა და/ან

[2] წყარო: https://www.foodsovereignty.org/fr/international-year-family-farming-iyff-3/

მეცხოველეობა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ დამატებითი საქმიანობის წარმოება საკუთარი სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პროდუქციის წარმოების საფუძველზე. აწარმოებს დამატებით აქტივობებს სოფლის მეურნეობის სფეროში და მის გარეთ, ისე რომ დაცული იყოს დამატებით აქტივობაზე კანონით გათვალისწინებული პირობები,

უნგრეთისთვის საოჯახო მეურნეობების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და მათი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი როლის წინა პლანზე წამოწევა, ნიშნავს: სურსათის უვნებლობის ზოგადი პრინციპების დაცვას; ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო რესურსების შენარჩუნებას და თაობებისთვის გადაცემას; მეურნეობების გამსხვილებების და სოფლის თემის გაძლიერებას.

საქართველოს რეალობა

საქართველოში საოჯახო მეურნეობის ფორმას ოდითგანვე ძლიერი იდენტობის ფუნქცია ჰქონდა ქვეყნისთვის, რადგან იგი მიწის საკუთრებასთან, წარმოშობის ადგილთან, ტრადიციებთან, თემთან და წინაპრებთან იყო დაკავშირებული. საოჯახო მეურნეობის მოდელმა ან ორგანიზაციის ტიპმა პირველი ინსტიტუციური ევოლუცია[3] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განიცადა, რაც გამოიხატა კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობის ფორმებიდან საწარმოო საშუალებების (მიწის ჩათვლით) კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ, ბაზრის ლიბერალიზაციასა და ბაზარზე ორიენტირებულ მოდელზე ეტაპობრივ გადასვლაში.

ამჟამად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სადაც ეკონომიკური მოწყობის ძირითადი ფორმა არის საოჯახო მეურნეობები. უფრო კონკრეტულად:

- 2014 წლის (ბოლო) აღწერის მიხედვით, ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი შინამეურნეობა ანუ საოჯახო მეურნეობა არის და მხოლოდ 2.2 ათასი მეურნეობა არის იურიდიული პირი;
- მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 574.1 ათასს საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო დანარჩენ 68.1 ათასს – არ აქვს;
- მეურნეობების სარგებლობაში არის 842.3 ათასი ჰა. სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% (734.8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა) – დროებით სარგებლობაში.

იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აგრო სექტორში საოჯახო მეურნეობები დომინანტ როლს თამაშობენ, მათი სამართლებრივი სტატუსი არასრულყოფილად არის განსაზღვრული.

რეგულაციები, სადაც საოჯახო მეურნეობების სტატუსია განსაზღვრული პირდაპირ ან ირიბად:

[3] თუ არ ჩავთვლით საქართველოს დამოუკიდებლობის მცირე პერიოდს 1918-1921 წლებში, რესპუბლიკის მთავრობამ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა დაიწყო.

საოჯახო მეურნეობა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობის, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების ან/და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას“

საქართველოს კანონი მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ. **მუხლი 3 (ვ).**

“ფერმერული მეურნეობა – მიწის ნაკვეთი ან/და მიწის ნაკვეთზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი წარმოებისთვის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი წარმოებისა და დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოიყენება.”

საქართველოს კანონი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ. **მუხლი 4 (ე).**

"ოჯახური წარმოება – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად; არაორგანიზებული წარმოება – ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება".

საქართველოს მთავრობის დადგენილება სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე. **მუხ. 2 (ა და გ)/**

ამასთან, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია (ამოცანა 1-3), სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირებას (ამოცანა 1.4), ფერმერთა მონაცემთა ბაზების (რეესტრის) ფორმირებას (აქტივობა 1.5.1.1).

გამოწვევები

საქართველოში საოჯახო მეურნეობები ამ ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან, რომელთა გადაჭრა საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ, ესენია:

- **სამართლებრივი გამოწვევები:** არასრულყოფილი კანონმდებლობა;
- **ეკონომიკური გამოწვევები:** ბაზრის არასტაბილურობა, რესურსებზე, ფინანსებზე და ბაზარზე წვდომის ნაკლებობა, ეკონომიკური არამდგრადობა, სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების არარსებობა
- **სოციალური გამოწვევები:** სოციალურად დაუცველთა სტატუსი, მეურნეთა ცოდნის დაბალი დონე, ნიჰილიზმი, დაბერება დემოგრაფიული თვალსაზრისით, მიგრაცია და მუშა ხელის დეფიციტი.

რეკომენდაციები

- ***ინსტიტუციური მხარდაჭერა***

საოჯახო მეურნეობის სტატუსის განსაზღვრა ნიშნავს მეურნეობისთვის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმის მინიჭებას, რაც ინსტიტუციურად უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით. პირველი - სტატუსი ეს არის იურიდიული ან ფიზიკური პირის საოჯახო მეურნეობის ფორმაში გაერთიანება, მისი ხილვადობა, რაც გარკვეულ ეტაპზე, კანონით განსაზღვრული პირობებით, მის გადამხდელად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მეორე - მეურნე ინსტიტუციურად მესაკუთრეა, საოჯახო მეურნეობა კი საბაზრო მექანიზმში ეკონომიკური და სამეწარმეო უნარების დანერგვის ფორმა სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. მეურნის/მეწარმის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მოპოვება ეფუძნება კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც მოიცავს ოჯახის წევრების დასაქმებას, დაქირავებული მუშა ხელის მოზიდვას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ათვისებას და მიღებული შემოსავლის მოცულობას.

- ***ეკონომიკური ხელშეწყობა***

მეურნე, თავისი და საკუთარი ოჯახის წევრების შრომით, არის მეურნეობის ეკონომიკური საქმიანობის მფლობელი და სამეწარმეო კონცეფციების ხელმძღვანელი. თუმცა, იგი, განსაკუთრებით მცირე მეურნეობის შემთხვევაში, სულ უფრო მეტად განიცდის ზეწოლას კვების სისტემასა და მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე ტრანსფორმაციების გამო. მსხვილი ბიზნეს ოპერატორები, საბითუმო მოვაჭრეები და სუპერმარკეტების ქსელები, რომლებიც მაღალი მსყიდველუნარიანობით გამოირჩევიან, რაც კიდევ ართულებს კონკურენციის პირობებს და მცირე მეურნეებზე ზეწოლას. მცირე/საოჯახო მეურნეობის სიცოცხლის უნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინოვაციების და სამართლიანი ვაჭრობის პირობების დანერგვაში ხელშეწყობა, და მათი დაცვა ბაზარზე მიკერძოებული კონკურენციისა და მისი არახელსაყრელი პირობებისგან.

ფერმერ ქალთა ასოციაცია წლებია ფოკუსირებას ახდენს საოჯახო მეურნეობების საქმიანობაზე, სწავლობს მათ საჭიროებებს და მეურნეებთან ეძებს პრობლემების გადაჭრის გზებს. ასოციაციამ 2019-2020 წლებში UNDP-ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებში მოხდა 1570 რესპოდენტის გამოკითხვა[1] საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის გამოიკითხა 952 ქალი და 618 მამაკაცი. რესპოდენტთა უმრავლესობამ (1083), სურვილი გამოთქვა, რომ უმჯობესი იქნებოდა მათ ჰქონდეთ სტატუსი, რომელიც სამართლებრივად დაარეგულირებს მათ საქმიანობას, ეს კი მათთვის შესაძლებელს გახდის ფინანსური ხელმისაწვდომობას.

- ***მდგრადი განვითარების მხარდაჭერა***

სოფლის მეურნეობის რესურსების ეკონომიური გამოყენება მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი გლობალური პრიორიტეტია. დედამიწაზე მოსახლეობის, ტერიტორიების ურბანიზაციის, ადამიანის მიერ შექმნილი პრობლემების ზრდისა და რესურსების ამოწურვის გამო. მსოფლიოში ფარული შიმშილის[4]

[4] ფარული შიმშილი ანუ მიკროელემენტების დეფიციტი. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ვერ

პრობლემა სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება. მთავრობები სულ უფრო მწვავედ აღიქვამენ ამ გამოწვევას და ცდილობენ ხელი შეუწყონ სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომლის მთავარი დასაყრდენი საოჯახო მეურნეობებია.

შესწავლილი მასალებზე დაყრდნობით, გვსურს შემოგთავაზოთ რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ქვეყანაში მცირე საოჯახო მეურნეობების განვითარებას დაეხმარება:

1. საოჯახო მეურნეობების სტატუსის სრულყოფილად განსაზღვრა
2. საოჯახო მეურნეობების დივერსიფიკაციაზე ფოკუსირება;
3. სპეციალური პროგრამების შექმნა, რომელიც დაეხმარება საოჯახო მეურნეობების დარგობრივ გაძლიერებას და მათ გაერთიანებას მარკეტინგის თვალსაზრისით.

დასკვნა

საქართველოში მოქმედი აგრარული წარმოებების უმეტესობა, მათ შორის, აკვაკულტურის, ჩაის, ღვინის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და სხვა, ძირითადად საოჯახო მეურნეობებია. სახელმწიფოს მხრიდან საოჯახო მეურნეობების განვითარებისთვის გატარებული სწორი პოლიტიკა ხელს შეუწყობს არა მარტო აგრო სექტორის ამ მნიშვნელოვანი რგოლის სწრაფ განვითარებას, არამედ მნიშვნელოვნად გააძლიერებს და გაამრავალფეროვნებს: ადგილობრივ წარმოებას, რომელიც ბაზარზე კონკურენციას გაუწევს და ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქტებს; დააჩქარებს ბიოწარმოებაზე გადასვლის ეტაპებს, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას; მარკეტინგის გაუმჯობესებისთვის დააჩქარებს საოჯახო მეურნეობების გამსხვილების/კოოპერირების პროცესს; ხელს შეუწყობს/გააძლიერებს სურსათის მოკლე ჯაჭვების შექმნას; მეურნეობების დივერსიფიკაციას; არასასოფლო სამეურნეო მიწების ათვისებას და ალტერნატიული საქმიანობების გაჩენას, მათ შორის აგრო და ეკო ტურიზმის განვითარებას; შექმნის სამუშაო ადგილებს, რაც გააუმჯობესებს ეკონომიკურ და სოციალურ ფონს სოფლებში.

პროექტის დოკუმენტი

იღებეს აუცილებელ ვიტამინებსა და მინერალებს, რომლებიც საჭიროა ზრდისა და განვითარებისთვის.